ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3458725

ნომერი: AR1530896

თარიღი : 08.08.2017

გაცემის თარიღი : 08.08.2017

გაცნობის თარიღი : 08.08.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II შესახვევი, N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , შესახვევი II , N1-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გობეჯიშვილი პ/ნ 62011001618
- თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ., I შეს., N 9, ბ. 10

ორგანიზაცია:

- სან ჰაუსი კოდი: 406197413

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 08 აგვისტოს #AR1530896 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი არასწორად იქნა დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ველში. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 22–ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს რეკომენდაციისა და მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. მერის ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება საჭიროებს იმავე პროცედურის გავლას რაც მისი მიღებისთვისაა დადგენილი. შესაბამისად იმისთვის, რომ უფლებამოსილმა ორგანოებმა იმსჯელონ ქალაქ თბილისის მერის ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხზე, თქვენს მიერ განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგნაირად: სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ელექტრონული განცხადებების ველში, „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები''–ს არჩევის შემდეგ უნდა მონიშნოთ – „ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა“, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურ რეჟიმში განგისაზღვრავთ წარმოსადგენ დოკუმენტაციას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, უფლებამოსილი ორგანოები/პირები იმსჯელებენ განაცხადში მითითებულ საკითხზე და მიღებულ გადაწყვეტილება გეცნობებათ ელექტრონულად.
გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.